თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 28 აპრილის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 28 აპრილი 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ლაშა გურგენიძე , 14. თემური ქოჩიაშვილი, 15. ნინო მახათაძე, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. ჯანო რობაქიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, 20. ელისო მურადაშვილი, 21. გიორგი თურქაძე, 22. გიორგი ბრეგაძე, 23.მამული კოვზირიძე, 24. გიორგი ყაზაიშვილი, 25. შალვა ჭანკვეტაძე, 26. გიორგი ქასრაშვილი, 27. რამაზი ლორთქიფანიძე, 28. მირზა აფრიდონიძე, 29. მანუჩარ ფანჩულიძე, 30. გიორგი ბერეკაშვილი, 31. ნოდარი ხოხიაშვილი, 32. ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.ომარი ჯიხვაშვილი, 2. იუზა უგრეხელიძე, 3 .გრიგოლ გიორგაძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 32 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - მირზა ქოჩიაშვილი.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282611413, 24.04.2026 წ);

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

2. ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის“ მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში (თერჯოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორის წერილი №14-282611758, 27.04.2026 წ).

/მომხს.: ი.ჩხეიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მეწყრული პროცესის შედეგად დაზიანდა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი, საფრთხე ექმნება ასევე საავტომობილო გზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეს, საჭიროა ნაპირდამცავი სამუშაოების ჩატარება, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 250000 ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-32, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადებების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2926118001, 28/04/2026 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორმა, ირაკლი ჩხეიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის“ მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის“ მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 აპრილის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე